585
1986

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2

1986

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1343

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 2 (485) თებერვალი 1986 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.
37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ვ. მანჯგალაძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. დ. ყავლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. მ. ბუტბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. კოჩიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. კ. ნაზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. იმანოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. კოლაკოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

49. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ს. ხარბედიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ზ. ბესტაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ღ. ვ. ჯოლოხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ი. ჯოჯუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

53. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

34 **ამხ. ნ. ა. ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნუგზარ აკაკის ძე **ფოფხაძე** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 თებერვალი.
№ 607—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

35 **ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 5 თებერვალი.
№ 608—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

36 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედ ამხ. ნათელა შალვას ასული **ვასაძე** — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

განთავისუფლდეს ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ოთარ დანიელის ძე **ქინქლაძე**.

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრებად ამხ. ამხ. გივი შალვას ძე **კვანტალიანი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ნუგზარ შალვას ძე **ენდელაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე და თემურ გივის ძე **გიორგაძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

განთავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ამხ. გურამ ივანეს ძე **გვეტაძე**, რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** და ჯემალ ვარდენის ძე **მარგველიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 10 თებერვალი.

№ 610—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

37 ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

განთავისუფლდეს ამხ. იოსებ ალექსის ძე **ხარატიშვილი** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 14 თებერვალი.

№ 616—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

38 ამხ. დ. ვ. მანჯგალაძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დამირ ვასილის ძე **მანჯგალაძე** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 თებერვალი.
№ 619—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

39 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

შეიარაღებული დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი ამხ. ემზარ ნოეს ძე **დიაკონიძე** დაჯილდოვდეს მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 14 თებერვალი.
№ 618—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

40 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „**საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის**“ დაჯილდოვდნენ:

ნესტერენკო იური ალექსის ძე — სამხედრო მოსამსახურე.

პობრუსი მიხეილ იურის ძე — სამხედრო მოსამსახურე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 15 თებერვალი.

№ 617—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

41 ამხ. შ. დ. ყავლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს უფროსი, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორი ამხ. შოთა დიმიტრის ძე **ყავლაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 3 თებერვალი.

№ 606—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

42 ამხ. რ. მ. ბუტბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს კომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. რუფეტ მახტოს ძე **ბუტბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 12 თებერვალი.
№ 612—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

43 ამხ. გ. ვ. კოჩიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე **კოჩიევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 12 თებერვალი.
№ 613—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

44 ამხ. ლ. კ. ნაზაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების უფროსი ამხ. ლუბოვ კონსტანტინეს ასული **ნაზაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 12 თებერვალი.
№ 614—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

45 ამხ. ა. რ. სანებლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 17 **თებერვალი.**
№ 620—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

46 ამხ. ლ. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის, ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარი ამხ. ლერი ივანეს ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 თებერვალი.
№ 621—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

47 ამხ. ზ. ა. იმანოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებსა და განათლების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ზინაიდა ახმედის ასული **იმანოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 თებერვალი.
№ 622—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

48 ამხ. ა. ა. კოლაკოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალფრედ ალექსის ძე **კოლაკოვსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 თებერვალი.
№ 623—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

49 ამხ. ლ. ს. ხარბედიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ამხ. ლუდვიგ სიმონის ძე **ხარბედია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-მის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 თებერვალი.

№ 624—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

50 ამხ. ი. ზ. ბესტაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის გენერალ-მაიორი იოსებ ზაქარიას ძე **ბესტაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 26 თებერვალი.
№ 628—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

51 ამხ. ღ. ვ. ჯოლოხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ღუღუნი ვლადიმერის ძე **ჯოლოხავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 28 **თებერვალი.**
№ 630—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

52 ამხ. ბ. ი. ჯოჯუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დარგთშორისი ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტორიული გაერთიანების განყოფილების უფროსს ამხ. ბაბუცა ივანეს ასულ ჯოჯუას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 26 თებერვალი.
№ 629—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

53 საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

აბრამიას ილია სიმონის ძეს — ტრესტ „საქტარის“ განყოფილების უფროსს.

ბაქრაძეს გივი გიორგის ძეს — „საქადგილმრეწვმომარაგება-გასაღების“ სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

კენჭაძეს გიორგი ირაკლის ძეს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქკომპლექტმოწყობილობის“ სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

მარქარიანს მარგარიტა ტიგრანის ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.

საჩკოვს ზურაბ კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

ტერ-ნერსესოვს იური გრიგოლის ძეს — „საქმანქანამომარაგება-გასაღების“ სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“

ბებურიშვილს შალვა ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქკომპლექტმოწყობილობის“ სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

შენგელიას იოჰანა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

გიორგაძეს რუსუდან ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს წამყვან ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

თამაზაშვილს ნინო ზაქარიას ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქმანქანამომარაგება-გასაღების“ სამმართველოს განყოფილების უფროსს.

უჩუმბეგაშვილს ალექსანდრა ნიკიფორეს ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქქიმმომარაგება-გასაღების“ სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

ფედოროვას გალინა იაკობის ასულს — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის საქტყექაღალდმომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 28 თებერვალი.
№ 631—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის სხდომა. მოისმინა რა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. ვ. ი. კობახიძის ინფორმაცია „კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესებისა და მოსახლეობის წინადადებების რეალიზაციისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაობის შესახებ“, კომისიამ აღნიშნა, რომ სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია ამ მიმართულებით; გამოძებნილია ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისა და მათი განხორციელების მიმდინარეობისადმი კონტროლის ახალი ფორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობაში სამინისტრო ხელმძღვანელობს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი დადგენილებით „საქართველოს სსრ-ში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის დებულების დამტკიცების შესახებ“.

განაწესების შესრულების მიმდინარეობა რეგულარულად იხილება სამინისტროს აპარატში გამართულ თათბირებზე დარგობრივი სამმართველოებისა და განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქმის ვითარებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციას ისმენენ კოლეგიის სხდომაზე. განაწესების შესრულების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს აცნობენ შემსრულებლებს, რეალიზაციის მიმდინარეობას ამოწმებს კავშირგაბმულობის სამინისტროს საკონტროლო-საინსპექციო განყოფილება.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელზე მიღებული, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული 44 განაწესიდან შესრულებულია 26, 6 განაწესის შესრულება მთავრდება, 8 განაწესის შესრულება გათვალისწინებულია XII ხუთწლედში, ხოლო 4 განაწესი ვერ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა შეზღუდულობის გამო.

ამჟამად XII ხუთწლედის გეგმებში გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული 46 განაწესი.

XI ხუთწლედში გაწეულია დიდი მუშაობა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესებისა და მოსახლეობის წინადადებების შესასრულებლად. აშენდა ახალი, თანამედროვე მძლავრი რადიოსარელეო ხაზები: თბილისი-ლენინგორი-ყაზბეგი-ორჯონიკიძე, ახმეტა-ცივი-ომალო, მახარაძე-ჩოხატაური, ტყიბული-ონი, ტყიბული-ამბროლაური, დუშეთი-ბარისახო, ადიგენი-აბასთუმანი, ჯვარზენი-ხაიში, ქუთაისი-ჭიათურა-საჩხერე და სხვა, რის შედეგად გაფართოვდა სატელევიზიო გადაცემათა ზონა, გაუმჯობესდა დასახლებული პუნქტების სატელეფონო კავშირი ზემოჩამოთვლილ რაიონებთან. აშენდა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძები გალში, სიღნაღში, ვანში, წყალტუბოში, აბასთუმანსა და სხვ. დამონტაჟდა ახალი ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები ბათუმსა და სოხუმში. დღეს რესპუბლიკის 20 ქალაქი და რაიონული ცენტრი ნომრის ავტომატური აკრეფით უკავშირდება ქვეყნის 100 ქალაქისა და რაიცენტრის აბონენტებს.

საქალაქო სატელეფონო კავშირის ქსელის ტევადობა გადიდდა 385 ათას ნომრამდე, სასოფლო ქსელისა — 95 ათას ნომრამდე. განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში 135 ხელით მომსახურების კომუტატორი შეიცვალა ახალი ავტომატური საკოორდინაციო სატელეფონო სადგურებით. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

79 საბჭოთა მეურნეობასა და 122 კოლმეურნეობაში შექმნილია საწარმოო სატელეფონო კავშირი, რის შედეგად ამგვარი კავშირი აქვს კოლმეურნეობის 77,5 პროცენტსა და საბჭოთა მეურნეობების 51 პროცენტს.

ქ. თბილისში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა გლდანის მიკრორაიონის, საბურთალოს, ლილოს, ვაკის, ავტომატური სატელეფონო სადგურები, შედეგად ტელეფონი დაუდგეს დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, აგრეთვე აღრიცხვაზე ხანგრძლივად მყოფ სხვა მოქალაქეებს.

გასული ოთხი წლის განმავლობაში გაიხსნა კავშირგაბმულობის 40 ახალი საფოსტო განყოფილება, მათ შორის სოფლად — 31.

ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ განაწესებისა და მოსახლეობის წინადადებების სარეალიზაციოდ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

საქართველოს სსრ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ინფორმაცია მიიღო ცნობად და დაამტკიცა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების გრაფიკი.

რჩევა მიეცათ:

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს:

— მომავალშიც განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების, აგრეთვე მოსახლეობის წინადადებების განუხრელად სარეალიზაციოდ; გაითვალისწინოს ისინი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომდევნო წლების სახელმწიფო გეგმებში; დააწესოს მკაცრი კონტროლი ცალკეული განაწესებისა და წინადადებების განხორციელების მიმდინარეობისადმი, აამაღლოს კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოებისა და ადგილობრივი ორგანოების რაიონული კვანძების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში; მიიღოს საჭირო ზომები თითოეული განაწესისა და წინადადების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციების დეპუტატებისათვის დროულად წარსადგენად; პერიოდულად განიხილოს კოლეგიის სხდომებზე კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების შესახებ განაწესებისა და მოსახლეობის წინადადებების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები;

— სისტემატურად მიავლინოს ადგილებზე სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები განაწესების შესრულების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად განაგრძოს ორმხრივ ღონისძიებათა შემუშავება კავშირგაბმულობის საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრ დეპუტატებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნებით, უფრო ქმედითი კონტროლი დააწესონ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობისადმი; უზრუნველყონ ამომრჩეველთა და მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება განაწესების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს:

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციას, მიიღონ დამატებითი ზომები მათი განხორციელებისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

— არ დაუშვან არც ერთი საცხოვრებელი სახლის საექსპლუატაციოდ გადაცემა მათი სატელეფონო დაკაბელებისა და რადიოფიცირების გარეშე.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს, საქჰიდროენერგომშენსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების შესასრულებლად დროულად დაამთავრონ საკაბელო და რადიოსარელეო ხაზების მონტაჟი მესტიასთან სტაბილური სატელეფონო კავშირის დასამყარებლად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს — ერთი თვის ვადაში განიხილოს 1986-1990 წლებში ქ. თბილისის სატელეფონო ქსელის დაჩქარებული განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ავტომატური სატელეფონო სადგურების ნაგებობათა მშენებლობას, და შედეგების შესახებ მოახსენოს კომისიის მორიგ სხდომას.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი ქალაქის საწარმოების მიერ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა, რომ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სამრეწველო საწარმოების მიერ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, რუსთავის

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე განლაგებული რიგი სამრეწველო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების მოთხოვნათა განხორციელებას. ქალაქის სამრეწველო საწარმოების მიერ მიწოდების ვალდებულებათა შესრულების მაჩვენებლები გაცილებით დაბალია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან შედარებით.

1985 წელს რუსთავის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა-ვალდებულებანი მხოლოდ 92,8 პროცენტით შეასრულეს და მომხმარებელს დააკლეს 42,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება ვერ უზრუნველყო ქალაქის 10 სამრეწველო საწარმომ, მათ შორის საწარმოო გაერთიანებებმა „აზოტმა“ და „ქიმიურმა ბოჭკომ“, მეტალურგიულმა, ცემენტის, რკინა-ბეტონის, ლითონკონსტრუქციების ქარხნებმა.

ქალაქის სამრეწველო საწარმოების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს მთელ რიგ მომიჯნავე საწარმოთა მუშაობის რიტმის დარღვევას, ადამიანებისა და მოწყობილობების მოცდენას და მთლიანად შრომითი კოლექტივების დეზორგანიზაციას.

რუსთავის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის მიწოდების საგეგმო დავალებებს. უსინათლოთა საზოგადოების რუსთავის სასწავლო საწარმომ შარშან რესპუბლიკის საბითუმო ბაზებს ვერ მიაწოდა გეგმით გათვალისწინებული 540 ათასი მანეთის პროდუქცია, ყრუთა საზოგადოების საწარმომ მომხმარებელს დააკლო 951 ათასი მანეთის, ხოლო ფოლად-თუჯსასხმელმა ქარხანამ — 619 ათასი მანეთის პროდუქცია.

ქალაქის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში დაბალია სიმძლავრეთა გამოყენების დონე, გამოშვებული პროდუქციის უხარისხობის გამო დიდია რეკლამაციების რიცხვი. შიდასაქარხნო წუნმა 2.324 ათასი მანეთი, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის ჯარიმების თანხამ 7.444 ათასი მანეთი შეადგინა.

სამრეწველო საწარმოთა მიერ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საქმეში არსებული ნაკლოვანებები მეტწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქ. რუსთავის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საგეგმო და საფინანსო ორგანოები, აგრეთვე მართვის სხვა რგოლები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საწარმოთა შეუფერხებელი და რიტმული მუშაობის, საწარმოო გეგმების დაბალანსებისა და რეალობის საკითხებს.

ჯერ კიდევ სუსტია ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების როლი საწარმოთა მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზების შესწავლის, მომხმარებლებთან კონტაქტის განმტკიცების, რესურსებით უზრუნველყოფისა და მზა პროდუქციის დროულად გაგზავნის საქმეში. გაუმჯობესებას მოითხოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ სახელშეკრულებო, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის კოორდინაციაც.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას არ ითვალისწინებენ მიწოდების დავალებების შესრულების მაჩვენებლებს, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ავტორიტეტის ამაღლებისა და ამ საქმეში დისციპლინის განმტკიცების გზით ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდებისათვის.

14343

რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქალაქო საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ საწარმოებს მუშაობაში, სისტემატურად და საფუძვლიანად არ აანალიზებენ მათ სამეურნეო საქმიანობას და არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებით გურჯაანის რაიონის ახაშნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ზეგაანი და მუკუზანი და შეიქმნა მუკუზნის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მუკუზანში.

მაღ. სსრ კ. მარქსის